„ს ხ ი ვ ი ს“
ამხსნ. გამოცემა
წიგნი 2.

დამფუძნებელი კრება
და
საარჩევნო უფლება.

ს. გორგასლიძე.

თბილისი
სტამბა „გუტენბერგისა“ Типог. „Гутенбергъ“.
1906

შეცდომების გასწორება:

გვერდი.	სტრიქონი.	დაბეჭდილია.	უნდა იყოს.
1.	4.	გორგასლიძესი	გორგასლიძისა
8.	26.	უმრაელესი	უმრავლესი
10.	22.	გამოიცხადეს	გამოაცხადეს
19.	1.	რთმელსაც	რომელსაც
21.	5.	მამა-პაიუულ	მამა-ჰაპეულ
26.	22.	სარბებლობენ	სარგებლობენ
29.	22.	სარჩევნო	საარჩევნო
31.	8.	სარჩევნო	საარჩევნო
33.	8.	ერთგვგრი	ერთგვარი

ანნა ლვინიაშვილის
წიგნთსაცავიდან.

30639

ლამფუძნებელი კრება

და

საარჩევნო უფლება

ს. გორგასლიძესი

„ს ხ ი ვ ი ს“

ამხანაგობის გამოცემა

წიგნი 2.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
აკად. ი. გრიშაშვილის
სახელობის
ბიბლიოთეკა-მუზეუმი
Библиотека-Музей
имени
Акад. И. Гришашвили
Академия наук Грузии

თფილისი

სტამბა „გუტენბერგისა“ Типог. „Гутенбергъ“.

1906.

Дозволено цензурою. Тиф., 3. декаб. 1905 г.

დამფუძნებელი კრება და საარ-ჩევნო უფლება.

I.

დამფუძნებელი კრება.

ვენი ქვეყანა დიდი და მდიდარია, მაგრამ წეს-რიგი აკლია; მოდით და გვეუფლეთო. ასე მიმართეს ამ ათასიოდ წლის წინეთ ძველ რუსების წარმომადგენლებმა უცხო ტომის ბატონებს.

„ჩვენი ქვეყანა გაჭირვებაშია; მიგვიღეთ და გვიპატრონეთო“. არა ერთ-გზის მიუმართავთ ამ სიტყვებით ქართველებს უცხოეთის მეფეებისთვის.

მაგრამ ვერც რუსებსა და ვერც ქართველებს უცხოელმა ბატონებმა სასურველი წესრიგი და კეთილ-დღეობა ვერ მოუპოვეს.

დიდ გასაჭირშია დღესაც ჩვენი ქვეყანა; წეს-რიგი აკლია რუსის ხალხსაც. მაგრამ არც ერთი და არც მეორე პატრონსა და მოწესრიგეს უცხოეთში აღარ ეძებს, რადგან დღეს ორივე ცხადათ გრძნობს და აშკარათ აღიარებს, **რომ თვისი პატრონი და ბატონი ხალხი თვითონვეა, რომ ყოველ საზოგადო საქმეს ხალხი თვითონ უნდა განაგებდეს და აწეს-რიგებდეს.**

ეს ყოველ ხალხის, ყოველ ადამიანის ძირითადი უფლებაა.

ამ ჭეშმარიტების უარ-ყოფა არც ერთ შეგნებულსა და პატიოსან ადამიანს არ შეუძლია.

სწორედ ამ უფლების ძალით, უწინდელს სახელმწიფოებში საზოგადო საქმეებს ყველა სრულწლოვან მოქალაქეთაგან შემდგარი სახალხო ყრილობა განაგებდა. ასე იყო, მაგალითად, ათინის რესპუბლიკაში; ასევე იყო ამ ასის წლის წინათ ჩვენის მთის ხალხის თემებშიაც.

მაგრამ მაშინ ხალხის ცხოვრება შედარებით მარტივი იყო,—და მოქალაქეს საკმაო მოცალეობა ჰქონდა სახელმწიფოს მართვაში **პირდაპირი** მონაწილეობა მიეღო. ამასთანავე, უწინდელი დემოკრატიული სახელმწიფო ვრცელი და ხალხ-მრავალი არ ყოფილა. მისი მცხოვრებნი მუდამ ერთათ იყვენ და საერთო საქმისთვის შეკრება არ ეძნელებოდათ. დასასრულ, თვით ეს საერთო საქმეც არ იყო მეტათ რთული და ძნელათ გადასაწყვეტი.

სულ სხვა გვარ მდგომარეობაშია ეხლანდელი ხალხი და სახელმწიფო.

დღეს, არა-თუ მთელი ერისა და სახელმწიფოსი, კერძო კაცის ცხოვრბაც-კი იმდენათ გართულდა, გაძნელდა და დაიხლართა, რომ ყოვლათ შეუძლებელია, მოქალაქეებმა **ერთსა და იმავე დროს** თვისს კერძო საქმეებსაც მოუარონ და სახელმწიფოს მართვაშიაც **ყველამ** ერთათ **პირდაპირი** მონაწილეობა მიიღონ.

ხალხის ყრილობა დღეს მარტო შვეიცარიის ოთხს კანტონში ადგენს კანონებს და ირჩევს მოხელეებს. მაგრამ ესეც მხოლოთ იმის გამო ხერხდება, რომ თითო ამ კანტონთაგანი სივრცითა და ხალხის სიმრავლით ჩვენებურ სასოფლო საზოგადოებას არ აღემატება.

დასავლეთ ევროპის სხვა სახელმწიფოებსა და შვეიცარიისავე დანარჩენ კანტონებში კი **პირდაპირობის** ადგილი **წარმომადგენლობამ** დაიჭირა. ჩვენი დროის ვრცელ სახელმწიფოთა მოქალაქეებს პრაქტიკულათ შეძლება არა აქვთ—საზოგადო საქმეების გასარჩევად ყველანი ერთათ შეიკრიბონ და ითათბირონ. ამიტომ თვის შორის იგინი ირჩევენ საგანგებო კაცებს,—ანუ **დელეგატებს**,—რომელნიც ხალხს თვისი სურვილისა და ინტერესების **წარმომადგენლებად** მიაჩნია და საზოგადო სმქმეების განსჯა—გადაწყვეტას ანდობს.

დღეს რუსეთისათვისაც სწორეთ ასეთი წარმომადგენლობა შეიქნა საჭირო, და ყველაზე უწინ—ამ წარმომადგენლობის საძირკველი—**საყოველთაო დამფუძნებელი კრება.**

ამ კრებამ უნდა შეიმუშავოს ის **ძირითადი კანონები**, რომელნიც სახელმწიფოს მომავალს მართვაგამგეობას განსაზღვრავს.

რა თქმა უნდა, ეს **კანონები** იმდენათ უფრო **მტკიცე, სასარგებლო** და ყველასათვის სანდო იქნება, რამდენათაც მათს დამფუძნებელს კრებაში

მთელი ხალხის უფრო მეტი **ნამდვილი** გულშემატკივარი და საქმის მცოდნე წარმომადგენელი მოხვდება. მაშასადამე, აუცილებელია ვიცოდეთ, თუ რა არის საჭირო, რომ დამფუძნებელ კრებაში ხალხის ინტერესთა ნამდვილი წარმომადგენლები გაიგზავნონ.

ამის პასუხს მეორე თავში მივიღებთ.

II.

არჩევნების შემზადება.

ეხლანდელის წყობილების მეოხებით, რუსეთის ქვეშევრდომთა უმრავლესობა სახელმწიფოს გამგეობას დაშორებულია და მოქალიქობრივათ ძლიერ სუსტათ განვითარებული. სოფლის ხალხს არა-თუ სახელმწიფო საქმეებისა არა ესმის-რა, ზოგან თვისი კლასობრივი ინტერესიც—კი ცხადათ წარმოდგენილი არა აქვს.

უეჭველია, ამგვარს ხალხს პირველ—ხანათ ძლიერ გაუჭირდება თვის ნამდვილ ინტერესთა დაცველი აირჩიოს და დამფუძნებელ კრებაში წარმომადგენელად გაგზავნოს. ცხადია, აქ მას მცოდნე პირების დახმარება დასჭირდება. ამიტომ აუცილებლათ საჭიროა —ხალხის ყოველ „მეგობარს", მისი ინტერესების მოსარჩლეს, ნება მიეცეს ხალხში თავისუფლათ გავიდეს, სადაც მოახერხებს, ყრილობა და საუბარი გამართოს და შეუგნებელს მისი მდგომარე-

ობა შეაგნებინოს. მაშინ ხალხი თვითონვე მიხვდება, თუ ვის შესტკივა მისთვის გული და ვინ გამოდგება მის წარმომადგენლად.

ერთი სიტყვით, საჭიროა **წასვლა—წამოსვლისა, შეკრებისა და სიტყვის სრული თავისუფლება.** მაშასადამე, საჭიროა, ეგრეთ წოდებული „პასპორტები“ მოისპოს და პოლიციას ნება აღარ ექმნეს—ხალხის თათბირში ჩაერიოს, მოსაუბრეს სიტყვა გააწყვეტინოს, ან კრება დაშალოს და სხვა. ხალხს უფლება უნდა მიეცეს, **სადაც და როდესაც სურს,** კრება მოახდინოს და, **რაზედაც სურს,** ისაუბროს. ეს უფლება რამოდენათმე უკე მოპოებული გვაქვს, მხოლოთ საჭიროა ეხლა იგი ხელიდან აღარ გავუშვათ და, რაც გაგვეწყობა, ფართოთ ვისარგებლოთ იმითი.

საჭიროა, დაუყონებლივ მოისპოს, ეგრეთ წოდებული, **გაძლიერებულ დაცვის წესები**, რომლის ძალითაც პოლიციას დღეს სრული უფლება აქვს, ვინც არ მოეწონება, დაატუსაღოს, საპყროობილეში ჩააგდოს ან სხვარამ სასჯელი დაადოს. დამნაშავის დატუსაღება მანამდე არავის უნდა შეეძლოს, სანამ ამას ხალხის მიერ არჩეულ ნაფიცმსაჯულთა სასამართლო არ გადაწყვეტს. **საჭიროა პიროვნების ხელშეუხებლობა.** მაგრამ პიროვნებასთან მჭიდროთ შეკავშირებულია მისი **საცხოვრებული ბინაც** და ყველაფერი, რაც მისს საკუთრებას შეადგენს. ამიტომ საჭიროა ბინის ხელშეუხებლობაც. მთა-

ვრობას უფლება არ უნდა ექმნეს, კერძო ბინები გაჩხრიკოს და მოქალაქეს მყუდროება შეუშფოთოს.

საჭიროა, ხალხს ყოველ გვარი **კავშირებისა და წრეების სრული თავისუფლება** მიეცეს, რადგან მოქალაქეებს მხოლოთ ამგვარ კავშირებსა და წრეებში შეუძლიათ თვისი მდგომარეობა და საჭიროებანი ფართოთ, ყოველმხრივ და სისტემატურათ განსაჯონ და გაითვალისწინონ. ხოლო, სადაც ხალხს თავისი მდგომარეობა და საჭიროება ჯეროვნათ შეგნებული არა აქვს, იქ ყოვლათ შეუძლებელია დამფუძნებელი კრებისთვის რიგიანი წარმომადგენელი აირჩიონ. ამიტომ აუცილებლათ საჭიროა ყოველი მოქალაქე ან უკვე არსებულ კავშირებს შეუერთდეს ან დანარჩენებთან ერთათ ახალი კავშირი შეადგინოს.

ზემოთ ჩვენ სიტყვა ხალხის „მეგობრებზედ“ ჩამოვაგდეთ. როგორც ვიცით, ხალხის „მეგობართა“ მეტი ნაწილი დღეს „პოლიტიკურ დამნაშავედ“ გამოცხადებულია და ბნელ ციხეებში ჩამწყვდეული ან — და სადღაც შორეულ გუბერნიაშია გადასახლებული. საჭიროა ამათ ყველას დაუყონებლივ **„დანაშაული“ ეპატიოთ** და ნება მიეცეთ, სადაც მოისურვებენ, იქ იცხოვრონ და იმოქმედონ.

მართალია, პოლიტიკურ „დამნაშავეთა“ ერთს ნაწილს დანაშაული ეპატივა და ისინი ღღეს უკვე განთავისუფლებული არიან, მაგრამ მათი უმრაველესი ნაწილი დღესაც ციხეებშია დამწყვდეული და

შორეულ გუბერნიებში გადასახლებული. საჭიროა, ხალხმა მედგრათ მოთხოვოს მთავრობას ამ დანარჩენ თავის „მეგობართა“ განთავისუფლებაც. ამას მოითხოვს როგორც სრული სამართლიანობა, ისე თვით საქმის სარგებლობა, რადგან სამუშაო ბევრია —„მუშაკნი“-კი ცოტა, ძლიერ ცოტა.

მაგრამ არჩევნების შესამზადებლად ყველაზე უფრო საჭიროა ჟურნალ—გაზეთებისა და, საერთოთ, **ბეჭდითი სიტყვის სრული თავისუფლება.** კრებაში მოსაუბრის მოსმენა, სულ ბევრი, ხუთას ან ათას კაცზე მეტს არ შეუძლია, წიგნი და გაზეთი—კი ხუთი და ათი—ათასობით ვრცელდება და მთელს მხარეს ეფინება. ამას გარდა ხშირათ მოხდება, რომ კრებაზე მოსაუბრე თავის აზრს სავსებით ვერ განმარტავს ან ჯეროვნათ ვერ დაასაბუთებს. ბეჭდურ სიტყვას კი შეუძლია, ეს ნაკლი თვალსაჩინოთ შეავსოს და მკითხველს საგნის სრული განხილვა წარუდგინოს. მართალია, ჟურნალ—გაზეთობას რამოდენათმე უკვე მიეცა თავისუფლება, მაგრამ წიგნების გამოცემაზე კი ესევე არ ითქმის. აქ ჯერ ისევ ძველი წესი მოქმედობს. ამიტომ აუცილებლათ საჭიროა, ეგრეთ წოდებული, წინასწარი **ცენზურა** დაუყონებლივ მოისპოს და ჟურნალ—გაზეთების რედაქტორებს და წიგნების გამომცემლებს სრული თავისუფლება მიეცეთ—თვისი გამოცემანი ხალხში დაუბრკოლებლათ გაავრცელონ.

როდესაც ნაჩვენების გზით ხალხის მომზადება

დასრულდება, მაშინ უკვე შესაძლო შეიქმნება თვით არჩევნების თადარიგს შევუდგეთ.

აქ თავდაპირველათ საჭიროა მთელი მხრის საარჩევნო ოლქებად დაყოფა. მაგრამ ამას მესამე თავში განვიხილავთ.

III.

ა რ ჩ ე ვ ნ ე ბ ი ს წ ი ნ.

საარჩევნო ოლქების რიცხვი იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენი წარმომადგენელი უნდა გაგზავნოს ამა თუ იმ მხარემ დამფუძნებელ კრებაში. ვთქვათ, საქართველოდან რვა წარმომადგენელი მოითხოვეს. მაშინ, მცხოვრებთა რაოდენობის მიხედვით, მთელი საქართველო რვა საარჩევნო ოლქად უნდა გაიყოს.

ეს ოლქები ზოგიერთ ალაგას შეიძლება უკვე არსებულს ოლქებსა და მაზრებს უდრიდეს, ზოგან კი არა. მაგრამ საზოგადოთ კი აუცილებლათ საჭიროა, **მცხოვრებთა რიცხვი ყველა საარჩევნო ოლქებში თანასწორი იქმნეს.**

ვსთქვათ, 150—ათას—სულიანს რომელსამე ქალაქსაც ერთი საარჩევნო ოლქის უფლება მისცეს და იქვე 100—ათასიანი მაზრაც ცალკე საარჩევნო ოლქად გამოიცხადეს. უეჭველია, აქ საარჩევნო უფლების თანასწორობა დაირღვევა, რადგან ხალხ—მრავალსა და პროგრესიულ ქალაქსაც ერთი წარმომადგენელი ეყოლება დამფუძნელ კრებაში და ხალხ—მცირე კონსერვატიულ მაზრასაც.

ასევე დაირღვევა უფლების თანასწორობა, თუ რომ ამავე ქალაქს ორ საარჩევნო ოლქად გავყოფთ, ე. ი. ორი დეპუტატის უფლებას მივცემთ, 100—ათასიან მაზრას კი იმავე მდგომარეობაში დავტოვებთ.

აი, ამისთვის არის საჭირო, რომ ამა თუ იმ მხრის ოლქებად დანაწილებას მცხოვრებთა რიცხვის თანასწორობა დაედოს საფუძვლად.

ამას გარდა, საზოგადოებრივ კლასთა ინტერესებსაც ყურადღება უნდა მიექცეს. მაგალითათ, დანაშაული იქნება მუშათა კლასის წინაშე, რომ თბილისის სამი უბანი: დიდუბე, ნაძალადევი და ხარფუხი, სადაც მუშა-ხალხი ბლოშათ ცხოვრობს, ერთმანეთს დააშორონ და საარჩევნო მხრით ტფილისისა, თიანეთისა და დუშეთის მაზრებს მიაწერონ, სადაც სოფლის უკან—ჩამორჩენილი წვრილი მესაკუთრე გაცილებით უფრო ბევრია ამ მუშებზე. რა თქმა უნდა, არჩევნების დროს მუშები ვერც ერთს თავის კანდიდატს ვერ გაიყვანენ, რადგან მათ ხმას აქ სოფლის წვრილი ბურჟუაზიის უმრავლესობა დაჰფარავს და მნიშვნელობას დაუკარგავს.

სწორეთ ასეთი წესი შემოიღო გერმანიაში ცნობილმა კანცლერმა ბისმარკმა და სახელად „საარჩევნო გეოგრაფია“ უწოდა. როგორც ვხედავთ, ეს „გეოგრაფია“ სოფელს ბევრს ვერაფერსა სძენს, მუშათა კლასისთვის კი დიდათ მავნებელია.

ამიტომაც საარჩევნო ოლქთა შემოფარგვლის

დროს მხოლოთ ხალხის რიცხვითა და თვით ოლ-ქის ადგილ-მდებარეობით უნდა იხელმძღანელონ და არა ისეთის მოსაზრებით, რომელიც ერთს კლასს დაჩაგრავს, მეორეს კი სარგებლობას ვერ მოუტანს.

როდესაც მთელი მხარე ოლქებად დანაწილდება, თვითეულ ოლქისათვის **ამომრჩეველთა სია** უნდა შესდგეს, ე. ი. ნუსხა იმ პირებისა, რომელთაც უფლება აქვთ არჩევნებში მონაწილეობა მიიღონ.

დასავლეთ ევროპაში ამ სიებს ზოგან მთავრობა ადგენს, ზოგან კი განსაკუთრებული კომისიები. აქ ვერ გამოვუდგებით იმის გარჩევას, თუ ამ წესში რომელია უმჯობესი. ვიტყვით მხოლოთ, რომ აღნიშნული სიების შედგენა უსათუოთ ისეთს პირს ან დაწესებულებას უნდა მიენდოს, რომელიც ამ საქმეს პირნათლათ შეასრულებს.

სიები უნდა დაიბეჭდოს და მთელს ოლქში ისეთს ალაგს გამოიკიდოს, სადაც ხალხი ბლომათ მიდი-მოდის და იკრიბება, რათა ყოველ ამომრჩეველს შეეძლოს დარწმუნდეს, რომ იგი სიაში გამოტოებული არაა, ხოლო, თუ გამოტოებულია, სიის შემდგენელს დროიანათ მიმართოს და შეცდომა გაასწორებინოს.

წინდაწინვე უნდა დაინიშნოს დრო და ალაგი, სადაც არჩევნები მოხდება. ამ საქმის შესრულებას და აგრეთვე თვით არჩევნების გაძღოლასაც დასავლეთ ევროპაში, ჩვეულებრივ, განსაკუთრებულ და-

წესებულებას ანდობენ, რომელსაც **საარჩევნო ბიურო** ეწოდება.

თუ ოლქი პატარაა, ერთი ბიუროც ეყოფა. მაგრამ, როცა ოლქი შორს მანძილზეა გაშლილი, მაშინ ბიუროებიც მეტია საჭირო. რომ არჩევნების დროს მიკერძებას და სხვა ბოროტ—სარგებლობას ადგილი არ ექნეს, საჭიროა ბიუროს წევრებად ყველა საზოგადოებრივ პარტიისა და კლასის წარმომადგენლები დაინიშნონ.

დროიანათ უნდა გამოცხადდეს **ასარჩევ კანდიდატების**, ე. ი. იმ პირების ვინაობა, რომელთაც არჩევნების დროს მთელი ოლქი კენჭს უყრის.

კანდიდატის წამოყენება ყოველ ჯგუფს, ყოველ კლასსა და პარტიას შეუძლია. დაბასა და სოფელსაც ნება აქვს კანდიდატი დაასახელოს.

როცა კანდიდატი დასახელებულია, მან მთელი სარჩევნო ოლქი უნდა შემოიაროს, მიტინგები გამართოს და ხალხს თვისი შეხედულება, მიმართულება და მომავალ მოქმედების გეგმა გააცნოს.

დასასრულ, ყოველ ამორჩეველს მის სახელზე გაკეთებული პატარ-პატარა ბარათი (**საარჩევნო ბარათი**) ჩამოურიგდება, რომელიც არჩევნების დროს ბიუროში უნა წარადგინოს. არავის ნება არა აქვს, ეს ბარათი სხვას გადასცეს, გაყიდოს ან გასაჩუქროს.

აქ თავდება არჩევნების წინასწარი მუშაობა და იწყება თვითონ არჩევნები. მაგრამ, სანამ ამ

უკანასკნელთა აღწერას შევუდგებოდეთ, საჭიროა გავითვალისწინოთ, თუ ვისა აქვს უფლება არჩევნებში მონაწილეობა მიიღოს, ე. ი. სხვა აირჩიოს ან თვითონ არჩეულ იქნას.

ამის პასუხს საარჩევნო უფლების განხილვა მოგვცემს.

IV.

საარჩევნო უფლება.

საარჩევნო უფლება ორ გვარია: **აქტიური** და **პასიური**. აქტიურს იმ უფლებას ეძახიან, რომლის ძალითაც ყოველ სრულ-წლოვან მოქალაქეს ნება აქვს—**სხვა აირჩიოს**.

ხოლო, როდესაც იმავე მოქალაქეს შეუძლია **სხვისგან არჩეულ—იქნას**, ეს კი პასიური უფლებაა.

ჯერ—ჯეროობით აქტიურ საარჩევნო უფლებაზე გვექნება საუბარი.

დღეს ყველგან გვესმის და თითქმის ყოველ გაზეთში ვკითხულობთ, რომ საარჩევნო უფლება **საყოველთაო**, **თანასწორი**, **პირდაპირი** და **ფარული** უნდა იყოსო.

ავხსნათ, რას ნიშნავს ეს სიტყვები.

V.

საყოველთაო საარჩევნო უფლება.

თავის-თავათ იგულისხმება, რომ სიტყვა **საყოველთაო** იმას კი არ ნიშნავს, თითქო ყოველს ძუძუ-მწოვარს ბავშვს, შეშლილს, აშკარა დამნაშავეს ან ნაფიც მსაჯულთა მიერ ღირსება ახდილს

პირს უფლება ქონდეს არჩევნებში მონაწილეობა მიიღოს.

როდესაც საყოველთაო საარჩევნო უფლებას თხოულობენ, ამით მხოლოთ იმისი თქმა სურთ, რომ არჩევნებში მონაწილეობის მიღება უნდა შეეძლოს ყოველ მამა-კაცსა და დედაკაცს, რომელსაც სრულ-წლოვანობამდე მიეღწევია და არცერთი ზემოთ დასახელებული ნაკლი არა აქვს.

საყოველთაო საარჩევნო უფლებას ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავს. იგინი გაიძახიან:

„როგორ შეიძლება, **მდაბიო ხალხსაც** ისეთივე უფლება მიეცეს, როგორიც მოქალაქობრივათ მომწიფებულ კლასებს ეძლევაო. თავდაპირველათ საჭიროა, მდაბიო ხალხი იმ ზომამდე განვავითაროთ, რომ სახელმწიფო მართვა-გამგეობის აზრი შეიგნოს, და მერე მივცეთ საარჩევნო უფლებაო“.

მაგრამ, როგორც მოგეხსენებათ, „სანამ პავლე მოვიდოდეს, პეტრეს ტყავი გააძვრესო“; — და, ამასთანავე, აღნიშნული საბუთი იმ ბატონების მსჯელობას მოგვაგონებს, რომელნიც ერთ დროს ამერიკაში მონათა განთავისუფლების წინააღმდეგ გაიძახოდენ: „სანამ მონებს განვათავისუფლებდეთ, ჯერ განათლება უნდა მივსცეთ, თორემ ეხლანდელი მონები თავისუფლების სიკეთით ვერ ისარგებლებენო“.

მაგრამ, კაი ხანია, მონები განთავისუფლდენ და არა მარტო მოქალაქობრივ თავისუფლებით, პოლიტიკური უფლებითაც კი ჩინებულათ ისარგებლეს.

ყველგან და ყოველთვის, როდესაც მდაბიო ხალხს საარჩევნო უფლება ეძლეოდა, იგი სწრაფათ ცნობიერდებოდა და აღნიშნულის უფლებით არისტოკრატიულ კლასებზე ნაკლებ არა სარგებლობდა.

კიდევ უფრო კარგათ სარგებლობდა ხალხი საარჩევნო უფლებით, როდესაც იგი **ბრძოლით** ჰქონდა მოპოებული.

ხალხს ბევრი ჩიჩინი არ სჭირაა, რომ თვისი ინტერესები შეიგნოს. ხოლო დეპუტატის ასარჩევად ეს სრულიათ საკმაოა.

ესევე უნდა ითქვას იმ პირების წინააღმდეგაც, რომელნიც **ქალთა საარჩევნო უფლებას** უარჰყოფენ ან ნაადრევად სთვლიან.

ყველამ იცის, რომ ეხლანდელ საზოგადოებაში ქალები უფრო დაჩაგრული არიან, ვინემ კაცები. როგორც სახელმწიფოში, ისე საზოგადოებაში და ოჯახშიაც ქალი მოკლებულია იმგვარს უფლებას, რომელსაც მამა-კაცს არავინ ეცილება.

მთელ საუკუნეთა განმავლობაში ქალი უუფლებოდ რჩებოდა და, ამისგამო, რაღაც მივიწყებულ და მშიშარა არსებად იქცა, რომელსაც ძალა არ შესწევს, თვისი ღირსება და ინტერესი მტკიცეთ დაიცვას.

რა თქმა უნდა, თუ დედა მონურის გრძნობებით გამსჭვალულია, შვილსაც ამგვარ გრძნობებს ჩაუნერგავს. თუ ცოლს არ გაეგება ის ბრძოლა, რომელსაც მისი ქმარი ეწევა, ულველია, ქმრის ხე-

ლის-შემშლელი იქნება და ცრემლ-საყვედურით სიცოცხლეს მოუწამლავს.

აუცილებლათ საჭიროა, ქალებიც მოქალაქეები გახდენ და უკეთეს ცხოვრებისათვის მამა-კაცებთან ერთათ იბრძოლონ. საამისოდ კი საჭიროა უუფლებო მდგომარეობიდან გამოვიდენ და საზოგადო საქმეებში მონაწილეობა მიიღონ.

რუსეთის კანონით, მოქალაქობრივი **სრულ-წლოვანობის** დასაწყისად 21-წელი ითვლება.

30639

თავისთავათ იგულისხმება, რომ ის პირი, რომელმაც ქვეყნის მართვაში მონაწილება უნდა მიიღოს, აზრ-შეხედულებითაც მომწიფებული უნდა იყოს. მაგრამ, დიდი შეცთომა იქნება, აქედგან ის დასკვნა გამოვიტანოთ, თითქოს მოქალაქობრივი სიმწიფე უსათუოთ წელთა სიმრავლეზე იყოს დამოკიდებული, და ამ დასკვნის თანახმათ, იმ ქვეყნებს წავბაძოთ, სადაც საარჩევნო სრულ-წლოვანობის დასაწყისად 24, 25 და 30 წელია მიღებული.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ დღეს ცხოვრება შეიცვალა და მასთან ერთათ ახალთაობაც შედარებით უფრო ადრე ვითარდება, ვინემ ეს ამ ასის ან ორმოცდა ათის წლის წინათ იყო. ამიტომ საბუთი არა გვაქვს, 20 წლის მუშა მოქალაქე უფრო ნაკლებ მომწიფებილად ჩავთვალოთ, ვინემ სოფლათ დაბადებული და აღზრდილი ოცდახუთი წლის გლეხი.

კერძოთ, კავკასიელების შესახებ ისიც შეგვიძლია დავუმატოთ, რომ, ადგილობრივი ჰავის წყა-

ლობით, აქაური ქალი და კაცი ადრე მწიფდება სქესებრივათ, რასაც ფრიად დიდი გავლენა აქვს ადამიანის საზოგადო მომწიფებაზედაც. თუ რუსეთის შიდა გუბერნიებში სქესებრივი მომწეფების ხანად 17—18 წელია მიღებული, ჩვენში ამავე მდგომარეობის დასაწყისად 13—15 წელი ითვლება.

რუსთათვის სქესებრივ და მოქალაქობრივ სრულწლოვანობის განსხვავება 3 წელია—(18 + 3=21). ამის კვალობაზე, კავკასიელთათვისაც მოქალაქობრივი სრულ წლოვანობის დასაწყისად 18 წელი (15+3=18) შეგვიძლია ჩავთვალოთ, ე. ი. სწორეთ ის წელი, რომელიც შვეიცარიის ზოგიერთ კანტონში საარჩევნო სრულწლოვანობის ხანადაა მიღებული.

ჩვენ წინააღმდეგი არა ვართ, სრულ—წლოვანობის დასაწყისი 20 წლამდე ავსწიოთ, მაგრამ ამას იქით მომატება კი სასურველად არ მიგვაჩნია.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ ადამიანი ახალგაზდობისას უფრო გულწრფელათ ეძლევა საზოგადო საქმეს, თანაც საკუთარ სარგებლობას ივიწყებს, ვინემ 25—30 წლისა და მეტის ხნის ვაჟკაცი, რომელიც, ხშირათ, რაკი ცოლშვილში ჩავარდება, იძულებული ხდება—ერთსა და იმავე ადგილს (სამსახურს ან სამუშაოს) მაგრათ ჩაებღაუჭოს და, მისი დაკარგვის შიშით, ამ ქვეყნის ძლიერთა წინაშე მეტათ მომთმენი და დამთმობი შეიქნეს.

ამ რიგათ, საყოველთაო საარჩევნო უფლება

მოითხოვს, რომ ყოველ ქალსა და კაცს, რომელ-
საც დაბადებიდგან 20 წელი მაინც შესრულებია,
ნება ექნეს, არჩევნებში მონაწილეობა მიიღოს.

ეს უფლება არ უნა იქმნეს შეზღუდული არც
ქონებით, არც წერაკითხვის ცოდნით, არც ბი-
ნადრობით და არც სხვა მრავალ—გვარ ხელშემშ-
ლელ პიროობებით, რომელთაც ეხლავე შევეხებით.

რა თქმა უნდა, სულ სხვაა, როდესაც ამბობენ:
„საარჩევნო უფლება ყველა სრულ-წლოვან მოქა-
ლაქეს აქვსო"; და სულ სხვაა, როდესაც ამ სიტყ-
ვებს შემდეგს კუდს მიამბენ: „საარჩევნო უფლება
აქვს ყოველს სრულ-წლოვან მოქალაქეს, რომელიც
ხაზინას ამდენსა და ამდენს **პირდაპირს გარდასახადს**
აძლევს, **ოჯახის თავად** ითვლება, **წერა-კითხვა** იცის
და საარჩევნო ოლქში **ერთი ან ორი წელი მაინც
უცხოვრიაო**".

აქ **საყოველთაო** უფლებიდან **სანახევროც** აღა-
რა რჩება-რა. განვმარტოთ ეს აზრი.

დასავლეთ ევროპაში ხშირი მაგალითია, რომ
საარჩევნო უფლება „**ყველა**" სრულ-წლოვან მამა-
კაცს ეძლევა, მაგრამ მარტო მაშინ, როცა იგი ხა-
ზინის სასარგებლოდ **პირდაპირს გადასახადს** იძლე-
ვა. ცხადია, იქ ღარიბ-ღატაკსა და უმიწა-წყლო მუ-
შას ხმის უფლება არა აქვს, რადგან იგი „პირდა-
პირ გადასახადს" არ იხდის, თუმცა არა—პირდაპირი
გადასახადები სხვა და სხვა გვარი ბაჟის სახით მა-

საც იმნაირათვე აწევს კისერზე, როგორც ყველა სხვა მოქალაქეს.

სოფლის გლეხ-კაცობა პირდაპირ გადასახადს იძლევა. მაგრამ ზოგჯერ მასაც ეუბნებიან: თქვენ შორის მარტო იმ მამა-კაცებს შეუძლიათ არჩევნებში მონაწილეობა მიიღონ, რომელნიც **ოჯახის თავებად** ითვლებიანო. როგორც ვიცით, მთელს ოჯახში თავი კაცი მარტო ერთია, მაგრამ ხშირათ იმავე ოჯახში სხვაც ბევრი სრულ-წლოვანი კაცი და ქალია. უეჭველია, თუ აღნიშნული პირობა მივიღეთ, ეს უკანასკნელნი საარჩევნო ხამის გარეშე დარჩებიან.

ზოგჯერ საარჩევნო უფლების აუცილებელ პირობად **წერა-კითხვის ცოდნას** სთვლიან და საყოველთაო საარჩევნო უფლებას ასე გამოხატავენ: ,,არჩევნების უფლება აქვს ყველა სრულ-წლოვანს, **წერა-კითხვის მცოდნე** მოქალაქესო".

მაგრამ ჩვენში 100 სრულ-წლოვან ქალსა და კაცზე წერა-კითხვის 10 მცოდინეც ძლივს უწევს, მაშასადამე, დანარჩენი 90 კაცი და ქალი უხმოდ დარჩება. ცხადია, ვერც ერთი ჭკუათა-მყოფელი გლეხი და მუშა ამ გვარს „საყოველთაო" უფლებას ვერ დასთანხმდება, რადგანაც მათ შორის წერა-კითხვა ყველაზე უფრო ნაკლებ გავრცელებულია და, მაშასადამე, აღნიშნულ წესით სხვებზე უფრო მეტათ იგინი დაიჩაგრებიან.

ძლიერ ცუდია, როდესაც სრულ-წლოვან მოქა-

ლაქეს მარტო მაშინ აძლევენ სარჩენო უფლებას, როცა მას ამა თუ იმ ალაგას ერთი ან ორი წელი მაინც უცხოვრია. ამგვარი წესი ყველაზე უფრო მუშა ხალხს ავიწროებს, რადგან იგი ხშირათ თავის საცხოვრებელს მამა-პაპულ მიწაწყალს მოწყვეტილია და დღიურ ლუკმა-პურისთვის ასსა და ათას ვერსზეა წასული, თანაც იძულებულია მეტის ხელფასის ძებნაში ადგილი ხშირ-ხშირათ გამ იცვალოს.

ცხადია, ამისთანა მუშა აღნიშნულ„ საყოველთაო“ უფლებით ადვილათ ვერ ისარგებლებს, რადგან მისთვის ძნელია, ორი-სამი დღით სამშობლოსკენ გაისეირნოს, არჩევნებში მონაწილეობა მიიღოს, შემდეგ უკან დაბრუნდეს და თავის დამქირავებლისაგან კვლავ სამუშაო იშოვოს.

დასასრულ, საყოველთაო საარჩევნო უფლებისთვის თვით ისეთს უბრალო გარემოებასაც კი დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორიც, მაგალითად, **დრო** და **ადგილია**, სადაც არჩევნები უნდა მოხდეს.

საკმაოა, მაგალითად, არჩევნები საქმის დღეს დაინიშნოს, რომ მუშა ხალხის უმრავლესობამ არჩევნებში მონაწილეობა ველარ მიიღოს; ამიტომ საჭიროა, არჩევნები უსათუოთ **კვირა-უქმეობით** ინიშნებოდეს, როდესაც თითქმის ყველა მოცლილია.

უკანასკნელ, თუ საარჩევნო **ბიურო** ხალხისათვის **დასამხარ ალაგას** არ იქნა გამართული, წვრილ-შვილისა და ოჯახობის პატრონი ხელ-მოკლე კაცი და ქალი ადვილათ ვერ მოახერხებს—ოჯახი ღვთის

ანაბრათ დატოვოს და მთელის დღით ან მეტის ხნითაც შორს ბიუროში გაემგზავროს. უეჭველია, იგი იძულებული გახდება კენჭის ყრაზე ხელი აიღოს.

ამიტომ აუცილებელათ საჭიროა, როცა საარჩევნო ოლქი ვრცელია, ბიურო **ისეთს ალაგას გაიმართოს, სადაც ხალხს მისვლა-მოსვლა ყოველ მხრიდან ადვილათ შეუძლია.**

VI

თანასწორი საარჩევნო უფლება

ყოველ ამორჩეველს იმდენი ხმა უნდა ექნეს, რამდენიც თვითეულს დანარჩენს, ან, როგორც ინგლისელები ამბობენ: **„ერთი კაცი- ერთი ხმაო“**; არც მეტი, არც ნაკლები.

ზოგიერთ ქვეყნებში ყოველ სრულ-წლოვანს მამა-კაცს თითო კენჭი აქვს მიცემული. მაგრამ, ამას გარდა, მდიდარსა და განათლებულ პირებს კიდევ ზედმეტი ხმაც ეძლევათ—**თანხისა, ადგილ-მამულისა და ნასწავლობის მიხედვით.**

როგორც ვიცით, მდიდარი და განათლებული კაცი, სიმდიდრისა და განათლების წყალობით, ერთი ხმითაც უკეთ ისარგებლებს, ვინემ გაუნათლებელი და ღარიბი მოქალაქე. მაშ რაღა სამართალი იქნება, რომ მდიდარსა და განათლებულს კიდევ ზედმეტი ხმაც მიეცეს.

დიდს უთანასწორობას გამოიწვევს, აგრეთვე რომ მთავრობამ გამოაცხადოს:

„ყველას თანასწორი საარჩევნო უფლება აქვს, მაგრამ

თვითეულმა წოდებამ თავისი დეპუტატი ცალ-ცალკე აირჩიოსო ე. ი. ყოველმა საარჩევნო ოლქმა იმდენი დეპუტატი გამოგზავნოს, რამდენიც წოდება არისო.

ვიცით, გლეხ-კაცობა ყველაზე მეტი წოდებაა. ვთქვათ, ოლქში ხუთიათასი ამომრჩეველი გლეხია და ათასი—აზნაური. პირველნიც ერთს დეპუტატს გაგზავნიან და მეორენიც. რას ნიშნავს ეს?

ეს იმას ნიშნავს, რომ ათასი აზნაურის ხმასაც იმდენი ძალა ექნება, რამდენიც 5000 გლეხისას, ანუ, სხვანაირათ რომ ვთქვათ, გლეხის ხმა ხუთჯერ სუსტი და ნაკლები იქნება აზნაურისაზე.

ამიტომ დღეს ყოველი შეგნებული ხალხი თხოულობს, რომ საარჩევნო უფლება თანასწორი იყოს, **განურჩევლათ წოდებისა და მდგომარეობისა**.

ზემოთ მესამე თავში, უკვე დავინახეთ, თუ რა-ოდენათ ვნებს საარჩევნო უფლების თანასწორობას, ეგრეთ წოდებული, „საარჩევნო გეოგოაფია“.

ამაზე ნაკლებ მავნებელი არ არის **ორპალატი-ანი** მართვა—გამგეობის წესიც.

ევროპის ზოგიერთ სახელმწიფოში კანონმდე-ბლობის საქმე ორს პალატას ანუ ორს კრებულს აქვს მინდობილი. ჩვეულობრივ, ერთს **ზემო-პალა-ტა** ეწოდება, მეორეს **ქვემო-პალატა**.

თუ ზემო-პალატამ არ მოიწონა, ისე ვერც ერთი ქვემო-პალატაში შემუშავებული კანონი ვერ გავა.

ქვემო-პალატის წევრებს მთელი ხალხი ირჩევს, მათ შორის შეძლებული კლასებიც. ზემო-პალატის წევრებს კი მარტო შეძლებული კლასები ირჩევენ, ზოგან თვითონ მეფე ნიშნავს.

ცხადია, კენჭის „თანასწორობა“ აქაც ფუჭი სიტყვაა, რადგან შეძლებულ კლასებს **ორი კენჭის** უფლება აქვს (დეპუტატებს ორსავე პალატაში ირჩევენ), დანარჩენებს კი—მარტო ერთისა.

ამასთანავე, ორ-პალატიან მართვა-გამგეობის დროს, შეძლებულ კლასების ხმასაც **მეტი ძალა აქვს**, ვინემ დანარჩენ ხალხისას, რადგან, როგორც ვთქვით, ვერც ერთი კანონი ისე სისრულეში ვერ მოვა, თუ იგი ზემო-პალატამაც არ მოიწონა. მაშასადამე, საკმაოა, ამ ერთმა-მუჭა კრებულმა ქვემო-პალატის მიერ შემუშავებული კანონი დაიწუნოს, რომ ხალ-ხის უმრავლესობის წარმომადგენელთა ნამოქმედარს ყოველი პრაქტიკული მნიშვნბლობა დაეკარგოს.

ასეთია ორ-პალატიანის წესის უკულმართი მხარეები.

ამიტომაც დღეს ყოველი მოწინავე პარტია თხოულობს, რომ **ხალხის წარმომადგენლობა იყოს ერთი და განუყოფელი.**

თანასწორობის პრინციპს ეროვევენ ის ქვეყნები, რომელნიც შეძლებულ პირებს უფლებას აძლევენ, არჩევნებში **ყველგან** მონაწილეობა მიიღონ, **სადაც-კი უძრავი ქონება** მოეპოებათ.

ვთქვათ, რომელსამე მემამულეს ოთხ საარჩევნო ოლქში აქვს მიწა-წყალი. ცხადია, ამ წესის ძალით, იგი ოთხსავე ოლქში აირჩევს წარმომადგენელს, ე. ი. სხვებთან შედარებით ოთხჯერ მეტი კენჭი ექნება.

ამიტომ, საჭიროა, ერთ კაცს მარტო ერთ საარჩევნო ოლქში ექნეს კენჭის ყრის უფლება, სულ ერთია, რა შეძლების პატრონიც გინდა იყოს.

ესევე უნდა ვთვათ სხვადასხვა—გვარ ამხანაგობასა, კომპანიასა და საზოგადოებაზე, ანუ, ეგრეთწოდებულ „იურიდიულ პირებზე“: კენჭი მხოლოთ „ფიზიკურს პირს“ უნდა ეკუთნოდეს და არა რომელსამე დაწესებულებას.

წინააღმდეგ შემთხვევაში მოსალოდნელია, ერთმა და იმავე პირმა ერთსა და იმავე ოლქში პირველათ თავის მაგივრათ ჩააგდოს კენჭი, მეორეთ—როგორც რომლისამე ქარხნის რწმუნებულმა, მესამეთ – როგრც მადნების წარმომადგენელმა, მეოთხეთ—როგორც წარმომადგენელმა ხე-ტყის წარმოებისამ და სხვა.

ცხადია, ამგვარი წესი თანასწორობად ვერ ჩაითვლება. ამიტომ საჭიროა, არავითარს „იურიდიულ პირს“ საარჩევნო უფლება არ მიეცეს.

VII.

პირდაპირი საარჩევნო უფლება.

პირდაპირი საარჩევნო პრინციპი მოითხოვს, რომ ამომრჩევლებმა პირდაპირ იმ დაწესებულები-

სათვის აირჩიონ წარმომადგენელები, რომელმაც კანონები უნდა შეიმუშაოს.

მაგრამ არის, ეგრეთ წოდებული, **ორ-კეცი** საარჩევნო წესი, რომელიც აღნიშნულ პრინციპს ვერ ეთანხმება.

ამ წესის ძალით, ხალხი პირდაპირ დეპუტატს კი არ ირჩევს, არამედ დეპუტატების ამომრჩევლებს, რომლებმაც შემდეგ თვითონ უნდა აირჩიონ ხალხის წარმომადგენლები.

მაგრამ ხანგძლივმა გამოცდილებამ დაამტკიცა, რომ ეს წესი ზოგიერთ შემთხვევაში სრულიათ **ზედმეტი** და უალაგოა, ზოგიერთში კი-პირდაპირ **მავნებელი**.

ზედმეტია, რადგან სადაც ეს წესი არსებობს (მაგ. ამერიკაში), ხალხი თვის-მიერ არჩეულ ამომრჩევლებს ვალად უდებს—უსათუოთ ის დეპუტატი აირჩიონ, რომელიც თვითონ ხალხსა სურს. ასე რომ, ბოლოს და ბოლოს, თუ არჩევნები სინდისიერათ წარმოებს, დეპუტატების ამომრჩეველი იგივე ხალხი გამოდის და არა მისი რწმუნებული.

მაგრამ, ამ წესით უფრო ხშირათ მდიდრები და გავლენიანი პირები ბოროტ—სარბებლობენ ხალხმე.

მართლაც, სანამ დეპუტატების არჩევანი მთელი ოლქის ხელშია, მანამ ვერც ერთი გავლენიანი პირი ვერ შესძლებს, ამომრჩეველთა უმრავლესობა თავის მხარეზე გადაიყვანოს. მაგრამ, როცა დეპუ-

ტატის ამომრჩევლად 50 ან 100 რწმუნებული გამოდის, მაშინ კი ძნელი დასაჯერებელია, მოსყიდვას, შეშინებას, ბრძანებასა და ძალდატანებას ადგილი არ ექნეს.

სწორეთ ამიტომ, საარჩევნო წესი **პირდაპირი** ანუ **ერთ-კეცი** უნდა იყოს და არა ორ-კეცი ან მრავალკეცი.

VIII.

ფარული საარჩევნო უფლება.

უკანასკნელ, საარჩევნო უფლება უნდა იყოს **საიდუმლო ანუ ფარული,** ე. ი. ვერავინ ვერ უნდა გაიგოს, თუ სახელდობრ **რომელმა** ამომრჩეველმა ჩაუგდო კენჭი **ამა თუ იმ** დეპუტატს.

ამგვარათ ჩაგდებულ კენჭს **დახურული კენჭი** ჰქვიან.

დახურული კენჭი იმისთვისაა საჭირო, რომ ამომრჩეველს თავისუფლათ შეეძლოს, სწორეთ ის კაცი აირჩიოს, რომელიც სურს და სასარგებლოდ მიაჩნია.

მაგრამ, როცა კენჭი **ახდილია,** ყველა ამომრჩეველი თავისუფლათ ვერ მოქმედობს: ზოგს მთავრობისა ეშინია, ზოგს ნათესავის ხათრი აქვს; მუშას დამქირავებლისა ეფიქრება, მოხელეს—უფროსისა და სხვა.

ამის წყალობით, ხშირათ მოხდება, რომ ამომრჩეველი იმას კი არ ირჩევს, ვინცა სურს და სასარგებლოთ მიაჩნია, არამედ იმას, ვინც მისს უფ-

როსს ან დამქირავებელს მოსწონს, ან კიდევ ვისაც მთავრობა უბრძანებს.

დახურულ კენჭის დროს კი ძნელი წარმოსადგენია, ვისსამე შიშსა და მოხათრებას ამომრჩევლის გულში ადგილი ექნეს.

მართალია, თვით ისეთი პატივცემული მოაზრეც კი, როგორიც ჯონ-სტიურარტ მილლი იყო, დახურულ კენჭის ყრას ეწინააღმდეგებოდა და ამობდა: „ვინც სახელმწიფოს მართვაში ერევა, გამბედაობაც უნდა ჰქონდეს და თავისი შეხედულობის გამოქვეყნებისა არ უნდა ეშინოდესო“.

მაგრამ, სამწუხაროთ, ამ გმირ მოაზრის საბუთით მის დროსვე ბევრმა სრულიათ არა—გმირმა არსებამ დაიწყო სარგებლობა თავის მოწინააღმდეგე ამომრჩეველთა ასალაგმავად. ამის გამო, 1872 წელს, ინგლისის ლიბერალურმა სამინისტრომ სამუდამოთ უარ-ჰყო ახდილი არჩევნები და დახურული კენჭის ყრა შემოიღო.

დახურული კენჭის ყრა არის მიღებული დასავლეთის ყველა მოწინავე სახელმწიფოში (საფრანგეთსა, შვეიცარიასა, გერმანიაში, პრუსიის გარდა, და ჩრდიოლეთ ამერიკაში).

ცხადია, ამ გონივრულ წესს უნდა დაადგეს ჩვენი ქვეყანაც.

IX.

პასიური საარჩევნო უფლება.

როგორც ზემოთ გავარკვიეთ, აქტიური საარ-

ჩევნო უფლება უნდა იყოს: საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული.

საყოველთაო და **თანასწორი** უნდა იყოს პასიური უფლებაც, ე. ი. **ყოველს 20 წლის კაცსა და ქალს უნდა შეეძლოს დეპუტატად არჩეულ იქნას.**

ნურავინ იფიქრებს, ვითომც 20 წლის ჭაბუკს არ შეეძლოს დეპუტატობა მოახერხოს.

მართალია, ოცი წლის ყველა კაცი და ქალი დამფუძნებული კრების წევრად ვერ გამოდგება ისე, როგორც ვერც ყველა ოცდა-ხუთ და ოცდა-ათ წლოვანი მოქალაქე გამოდგება ამ საქმისათვის, მაგრამ დეპუტატს ხომ ხალხი ირჩევს და, მაშასადამე, დიდი უნდობლობა უნდა ჰქონდეს კაცს ხალხისადმი, რომ იფიქროს, თითქო ხალხი თავისს წარმომადგენელს აჩქარებითა და დაუკვირვებლათ აირჩევსო. თუ იმ პირობას შევასრულებთ, რომელიც მეორე თავში მოვიხსენეთ, ხალხს აგრე რიგადაც არ გაუჭირდება დამფუძნებელ კრებისთვის შესაფერი კანდიდატი აირჩიოს.

რაც საყოველთაო და თანასწორ აქტიურ უფლების შესახებ ვთქვით, პასიურ სარჩევნო უფლების შესახებაც იგივე უნდა ითქვას: მისი შეზღუდვა არ უნდა შეიძლებოდეს არც ეროვნებით, არც სქესით, არც ქონებით და არც სხვა მსგავსი პირობით.

პასიური უფლებაც იგეთივე უნდა იყოს, როგორიც აქტიურია. ყველგვარი შეზღუდვა აქ საგანს

მხოლოთ გაართულებს და არჩევნებს გააძნელებს; საქმეს კი ბრჩხილის ოდნათაც წინ ვერ წასწევს.

მაგრამ, ვთქვათ, რომელმამე ოლქმა ქონებრივათ ხელმოკლე დეპუტატი აირჩია, რომელიც ოჯახს საკუთარი შრომით ინახავს. შესძლებს კი ასეთი დეპუტატი, თავისს საქმეზე ხელი აიღოს, ოჯახი ულუკმა-პუროდ მიატოვოს და შორს დამფუძნებელ კრებაზე წავიდეს, სადაც, ვინ იცის, რამდენ ხანს მოუხდება ცხოვრება?

ცხადია, იგი იძულებული იქნება დეპუტატობაზე უარი განაცხადოს და ხალხს არჩევანი გაუცრუოს.

ამიტომ აუცილებლათ საჭიროა, ყოველ დეპუტატს ხაზინიდან საკმაო ჯამაგირი დაენიშნოს. მართალია, ზოგიერთი სქელ—ჯიბა „ფილოსოფოსი“ იტყვის და მასთან სხვაც ბევრი გაიმეორებს, რომ დეპუტატობა საზოგადო საქმეა და ნუ თუ ყოველი პატიოსანი მოქალაქე ვალდებული არაა საზოგადო საქმეს უსასყიდლოდ ემსახუროსო.

მაგრამ ამ თავის-თავათ სიმპატურ აზრს სარჩული ყოველთვის სიმპატიური როდი უძევს, ხოლო შედეგი ხშირათ ძლირ სამწხარო აქვს. ამიტომ დეპუტატს ესათუოთ გადაჭრილი ჯამაგირი უნდა მიეცეს. ვისაც არ სურს და ქონება ნებას აძლევს, შეუძლია სადეპუტატო ჯამაგირზე უარი სთქვას, მაგრამ კანონით კი ყოველ დეპუტატს უნდა შეე-

ძლოს თავის გასამოჯელოდ დაწესებული ჯამაგირი მიიღოს.

ამით ვათავებთ საარჩევნო უფლების შესახებ საუბარს და თვით არჩევნებზე გადავდივართ.

X.

არჩევნების წარმოება.

საარჩევნო ბიუროსაგან დანიშნულ დღეს ყველა სრულწლოვანი მოქალქე ვალდებულია ბიუროში გამოცხადდეს და სარჩევნო ბარათი წარადგინოს. როცა ბარათის პატრონი კენჭის ყრას გაათავებს, ამ ბარათზე ბიურო დააწერს, რომ აღნიშნულმა ამომრჩეველმა ერთგან უკვე კენჭი ჰყარა, და მასაც ნება აღარ ექნება სხვა ბიუროში სხვას ვისმე კენჭი უყაროს.

თვით კენჭის ყრის წესი (არჩევნები) ორგვარია: ა) **თვითეული კანდიდატისა ცალ-ცალკე** და ბ) **რამდენისამე კანდიდატისა ერთათ**. პირველს იდინვიდუალურს ანუ სათვითოო არჩევანს ეძახიან, მეორეს კი სიით არჩევანს (Scrutin de liste), რადგან ამ უკანასკნელ შემთხვევაში რამდენისამე კანდიდატის სახელი ერთ **სიაზეა** დაბეჭდილი და, თუ ამორჩევლმა ერთი მათგანი აიჩია, უსათუოთ დარანჩენებიც უნდა აირჩიოს. ხოლო როცა ინდივიდუალური კენჭის ყრაა, მაშინ, სიაში თუნდ ათი კანდიდატის გვარიც იყოს ჩაწერილი, ამომრჩეველი მარტო ერთს მათგანს ჩაუგდებს კენჭს, დანარჩენებს კი წაშლის.

ცხადია, როდესაც საარჩევნო ოლქიდან მარტო ერთს დეპუტატს თხოულობენ, მაშინ მხოლოთ

პირველგვარი, ანუ ინდივიდუალური არჩევანია მოსახერხებელი.

მაგრამ მოხდება, რომ მთავრობა მთელ მხარეს ახალ საარჩევნო ოლქებად არ დაჰყოფს, არამედ უკვე არსებულს თვითეულს გუბერნიას სამს ან ოთხს დეპუტატს მოსთხოვს. ამ შემთხვევაში ყოველი ჯგუფი და ყოველი პარტია მოვალეა სამ-სამი ან ოთხ-ოთხი კანდიდატი წამოაყენოს და ყველანი ერთ სიაში მოათავსოს. როცა კენჭის ყრა დაიწყება, ამომრჩევლებს ყველა ჯგუფისა და პარტიების სიებს მისცემენ ხელში, და შემდეგ თვით მასზეა დამოკიდებული, თუ რომელ სიას მიიღებს (კენჭს ჩაუგდებს) და რომელს უარჰყოფს.

ამგვარს კენჭის ყრას უმეტესათ მაშინ მიმართავენ ხოლმე, როდესაც აზრად აქვთ საერო კრებაში, რამდენადაც კი შესაძლებელია, ერთ-გვარს დეპუტატებს მოუყარონ თავი. მართალია, ამგვარ კენჭის ყრას ზოგჯერ რეაქციონური დასები ბოროტად გამოიყენებენ ხოლმე, მაგრამ ვერც იმას უარვყოფთ, რომ ამავე წესით პროგრესიულ დასებსაც ადვილათ შეუძლიათ ისარგებლონ და საკანონმდებლო კრებაში უმეტესათ პროგრესიული დეპუტატები გაგზავნონ.

ამ შემთხვევაში—როგორც პროგრესიული, ისე რეაქციონური დასები შემდეგ ხერხს მიმართავენ ხოლმე: სიის თავში ყველა დასების და პარტიებისათვის სასურველ კანდიდატს მოათავსებენ, ხოლო

ქვემოთ თავის საკუთარს, მაგრამ ნაკლებათ ცნობილს კანდიდატებს მიაყოლებენ. უეჭველია, როცა გამოუცდელი და გულუბრყვილო ამომრჩეველი ასეთს სიას აიღებს, ჯერ პირველი კანდიდატის გვარს ამოიკითხავს; იფიქრებს, შესაძლოა, დანარჩენი კანდიდატებიც ამისთანანი იყონო, და მთელ სიას კენჭს ჩაუდებს.

მართალია, ეს ერთგვგრი ოინია, მაგრამ ოინი— ზოგჯერ მარგებელი, ზოგჯერ მავნებელი. სუსტი მხარე ამ წესსაც ბევრი აქვს და ინდივიდუალურ არჩევანსაც. ამიტომ ჯერ-ჯეროობით საბოლოოთ გადაჭრილი არ არის, თუ ამ ორ წესში რომელია უმჯობესი. სწორეთ ამავე მიზეზით ჩვენც აქ მათს შედარებას აღარ გამოვუდგებით. ცხოვრება და გამოცდილება თვითონ გვიჩვენებს, თუ ამ ორ წესში როდის რომელი გამოდგება და ხალხმა რომელს უნდა მიმართოს.

დასასრულ, ვიკითხოთ: როგორ უნდა მოიქცენ ის პირები, რომელთაც წერა-კითხვა არ იციან? კენჭი ხომ უსათუოთ დახურული უნდა იყოს? ამ კითხვაზე ორ-გვარ პასუხს იძლევიან.

ზოგნი ფიქრობენ: კენჭის ყრის საიდუმლოება ისე მტკიცეთ უნდა იქნეს დაცული, რომ იმ დროს, როცა ამომრჩეველი კანდიდატების სიას ათვალიერებს და ასარჩევ კანდიდატის გვარს ეძებს, იმისი მოწმე თვით უახლოესი მეგობარ-ნათესავიც კი არ უნდა იყოსო.

ამისდა მიხედვით ესენი ურჩევენ: ყოველმა პარტიამ თავისი კანდიდატის სახელი და გვარი განსაკუთრებულ ფერის ქაღალდზე უნდა დაბეჭდოს და ამომრჩევლებს წინდაწინვე გამოუცხადოს, რომ ამა-და-ამ პარტიის კანდიტატის სახელი ამა-და-ამ ფერ ქაღალდზეა დაბეჭდილიო.

ვთქვათ, რომელსამე ამომრჩეველს სურს, კენჭი ნაციონალისტების კანდიდატს ჩაუგდოს. იგი მიდის საარჩევნო ბიუროს წევრების წინ, მაგიდასთან, მიიღებს ყველა პარტიის ფურცლებს, შედის იქვე ცალკე ოთახში და, მოწმის დაუსწრებლათ, იღებს იმ ფერის ქაღალდს, ვსთქვათ მწვანეს, რომლის შესახებაც წინ-დაწინ გამოცხადებული იყო, ნაციონალისტების კანდიდატების გვარი ამ—ფერს ქაღალდზედაა დაბეჭდილიო. შემდეგ ამ ქაღალდს იქვე სქელ კონვერტში ჩასდებს, გამოდის საარჩევნო მაგიდასთან, სადაც ბიუროს წევრები სხედან, და კონვერტს **საარჩევნო ყუთში** ჩააგდებს. ამას ჰქვია „კენჭის ყრა“.

ცხადია, ამ შემთხვევაში კენჭი დაფარული იქნება, რადგან სქელი კონვერტის გამო, ვერც ერთი იქ დამსწრე ვერ გაიგებს, თუ ამომრჩეველმა რომელი პარტიის კანდიტატს ჩაუგდო კენჭი.

მაგრამ ამგვარი ხერხი მხოლოთ მინამდეა გამოსადეგი, სანამ ასარჩევ კანდიდატების რიცხვი ხუთს ან ექვსს არ აღემატება, თორემ როცა კანდიდატი ბევრია, მაშინ, უეჭველია, საარჩევნო ფურცლებიც

მრავალ-ფერი იქნება და ძლიერ საეჭვოა—ამომრჩეველმა ყველა ეს ფერები ზეპირათ დაიხსომოს სხვადასხვა პარტიის კანდიდატები ერთმანეთში არ არიოს.

ამიტომ, სანამ მთელი ხალხი წერა-კითხვას ისწავლიდეს, საჭიროა მეორე აზრსაც გავეცნოთ.

ამ აზრის მიმდევარნიც პრინციპიალურათ თანახმა არიან, რომ კენჭის ყრა დახურული უნდა იყოს, მაგრამ, დასძენენ, დიდი უსამართლობა იქნება ამ საბუთის ძალით ამომრჩეველთა სიიდან ყველა ის პირები გამოვრიცხოთ, რომელთაც წერა—კითხვა არ იციანო. უმჯობესია, ამ შემთხვევაში კენჭის საიდუმლოება მცირეოდნათ დაირღვეს, ვინემ ხალხის დიდი ნაწილი უკენჭოდ დარჩესო.

სახელდობრ, დიდი ცოდვა არ იქნება, რომ, ვინც წერაკითხვა არ იცის, საარჩევნო ფურცლები თავის ერთგულ მეგობარს და სანდო პირს წააკითხოს, ან წერა-კითხვის მცოდნე თავისი შვილი მოიხმაროს. მართალი რომ ვთქვათ, ეს კენჭის საიდუმლოების დარღვევაც არ იქნება, რადგან კენჭის საიდუმლოება მხოლოთ მაშინ ირღვევა, როცა ყველა შეიტყობს, თუ ვის ჩაუგდო კენჭი ამომრჩეველმა. ერთსა და ორს თავის ერთგულ მეგობარს კი, ჩვეულებრივ, არც ის ამომრჩეველები უმალავენ ხოლმე თავისს მოქმედებას, რომელთაც წერა-კითხვა იციან და კენჭის ყრას სრული საიდუმლოებით ასრულებენო.

უკანასკნელ, როცა კენჭის ყრა გათავდება,

ბიუროს წევრები კენჭის თვლას შეუდგებიან. რომელ კანდიდატსაც მეტი კენჭი აღმოაჩნდება, ის იქნება არჩეული.

ვთქვათ, საარჩევნო ყუთში 1000 კენჭია. ამ ათას კენჭში ერთს კანდიდატს, შოთას, 200 კენჭი რგებია; მეორეს, ვახტანგს—350; მესამეს ლუარსაბს—450. აქ ყველაზე მეტი ლუარსაბის კენჭია (450). მაშასადამე, არჩეულიც ის იქნება.

მაგრამ ზოგიერთ ქვეყნებში არჩეულად მხოლოთ იმ კანდიდატს სთვლიან, რომელსაც ყველა კენჭების **ნახევარზე მეტი** რგებია, ე. ი. 1000-იდან ხუთას-ერთი, ხუთას ორი და სხვა. ხოლო 2000-იდან ათას-ერთი, ათას-ორი და სხვა.

კენჭის ანუ ხმის პირველ-გვარს უმეტესობას **უბრალო უმეტესობას** ეძახიან, მეორე გვარს-კი **აბსოლიუტურს**.

თვით იმ ქვეყნებშიაც-კი, სადაც აბსოლიუტური უმეტესობაა მიღებული, ხშირათ მოხდება, რომ პირველ კენჭის ყრის დროს არც ერთს კანდიდატს არ ერგება აბსოლიუტური უმეტესობა, ე. ი. ყველა კენჭის ნახევარზე მეტი. მაშინ **განმეორებითი კენჭის ყრა** ინიშნება. მაგრამ განმეორებით კენჭს ყველა კანდიდატს კი არ უყრიან, არამედ ორს უკანასკნელს კანდიდატს, რომელთაც დანარჩენ კანდიდატებზე უმეტესი კენჭი რგებიათ. მაშასადამე, თუ ზემოთ დასახელებულს მაგალითს

ვიღებთ, განმეორებით კენჭი ვახტანგსა და ლუარსაბს უნდა ეყაროს.

ამ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა ექნება იმას, თუ რომელი კანდიდატის მხარეს დაიჭერენ პირველი კანდიდატის (შოთას) ამომრჩეველნი, სულ 200 კაცი.

ვთქვათ ვახტანგის მხარე დაიჭირეს. მაშინ ვახტანგს 550 (350+200) კენჭი ერგება და, მაშასადამე, არჩეულიც ის დარჩება, თუმცა პირველ შემთხვევაში უმეტესობა (უბრალო) ლუარსაბისა იყო.

ასეთია არჩევნების წეს-რიგი.

XI.

პროპორციუნალური არჩევნები.

წინა თავში ჩვენ გავეცანით, თუ რაში მდგომარეობს **უბრალო** და **აბსოლიუტური** უმეტესობა კენჭისა; გავიგეთ აგრეთვე, როს აბსოლიუტურ უმეტესობას იმ ქვეყნებში მიმართავენ ხოლმე, სადაც განმეორებით არჩევნებია მიღებული. რომ ჩვენი აზრი მკითხველისთვის ადვილგასაგები გაგვეხადა, ზემოთ ჩვენ მეტათ მარტივი მაგალითი მოვიყვანეთ; მაგრამ ცხოვრებაში ასეთი მაგალითები ან სრულებით არ არის, ან მეტათ იშვიათია; აქ საქმე შედარებით უფრო რთული და დახლართულია, ვინემ ეს პირველ შეხედვით გვეჩვენება. ცხოვრებაში ორი და სამი პარტია კი არა, ოთხი, ხუთი და მეტი სხვა და სხვა პარტია მოქმედობს: სოციალ-დემოკრატი, სოციალ-რევოლიუციონერი, ფედერალისტი, ლიბერა-

ლი, კონსერვატორი და სხვანი,—და ყველა მათგანსა სურს დამფუძნებელ კრებაში თავისი წარმომადგენელი გაგზავნოს. საქმის გასაადვილებლათ კიდევ უბრალო მაგალითი ავიღოთ: ვთქვათ, რუსეთის რომელსამე ოლქში 10,000 სრულწლოვანი ამომრჩეველია, რომელნიც პარტიების მიხედვით ასე არიან დანაწილებული:

1) კონსერვატორი	4000
2) ლიბერალი	2000
3) რევოლიუციონერები . .	1400
4) სოციალდემოკრატი . .	2000
და 5) ფედერალისტი	600.

ვთქვათ, მთელს ამ ოლქს 10 დელეგატი ჰყავს ასარჩევი უბრალო უმეტესობით. რასაკვირველია, თვითეული პარტია ათ-ათს კანდიდატს წამოაყენებს და ეცდება ათივე გაიყვანოს და გაგზავნოს დამფუძნებელს კრებაში. ცხადია ისიც, რომ ყველაზე უფრო მეტი კენჭი კონსერვატორების კინდიდატებს ერგებათ (რადგან მათი ამრჩევლები 4000-ია) და კრებაზედაც იგინი გაიგზავნებიან; მაშასადამე, ამ 10,000-ამომრჩევლიდან 6,000 კაცის კენჭი (ლიბერალებისა, სოციალ-დემოკრატებისა, რევოლიუციონერებისა და ფედერალისტებისა) სრულიათ ფუჭად ჩაივლის, რადგან ვერც ერთი მათგანი საკუთარს კანდიდატებს იმდენს კენჭს ვერ ჩაუგდებს, რომ 4000-სს გადააჭარბოს. ამ რიგათ გამოვა, რომ კრებაზე წარმომადგენელს გაგზავნის არა უმრავლე-

სობა (6000 კაცი) ოლქის მცხოვრებისა, როგორც ამას კანონიერება და სამართალი მოითხოვს, არამედ უმცირესობა (4000 კაცი) და ისიც კონსერვატორები. ამ გარემოებას ვერაფერს უშველის ვერც განმეორებითი არჩევნები, ე. ი. აბსოლიუტური უმეტესობა, რადგან ყოვლათ შეუძლებელია სოციალ-დემოკრატები ლიბერალებს შეუერთდენ და მათს კანდიდატს ჩაუგდონ ერთობლივ კენჭი; მაგრამ ეს დაუჯერებელი ამბავიც რომ მოხდეს, მათი კენჭის საერთო რიცხვი (2000+2000=4000) კონსერვატორებისას მაინც ვერ გადაარჭარბებს და არჩევნები დაუსრულებელი დარჩება; ასევე მოხდება რევოლიუციონერები და ფედერალისტებიც რომ შეერთდენ და მარტო ლიბერალურს (2000), ან მარტო სოციალ-დემოკრატიულს პარტიას მისცენ მხარი; აქაც კენჭის რიცხვი 4000-ზე მეტი არ იქნება.

რომ ასეთი უთანასწოროობა და უხერხულობა თავიდგან აიცდინონ, ზოგიერთ ქვეყნებში შემოღებულია, ეგრეთ წოდებული, **პროპორციონალური არჩევნები**. რაში მდგომარეობს ეს არჩევნები?

საქმის გასაადვილებლათ იგივე რიცხვი და ამომრჩეველ პარტიათა იგივე პროპორცია ავიღოთ: ვთქვათ ამა თუ იმ ოლქში 10000 ამომრჩეველია, პარტიების მიხედვით იმგვარათვე დანაწილებული, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, და ასარჩევიც 10 კანდიდატი ჰყავთ. თუ გვსურს, არჩევნები **პროპორციონალურის წესით** მოვახდინოთ, ასე უნდა მო-

ვიქცეთ: ამომრჩეველთა საერთო რიცხვი 10000 უნდა გავყოთ 10-ად ე. ი. იმდენათ, რამდენიც ასარჩევია, და ამითი შევიტყობთ, თუ თვითეულ კანდიდატს საშუალო რიცხვით რამდენი კენჭი უნდა ერგოს; 10000: 10=1000, მაშასადამე თვითეულს დელეგატს უნდა მოუვიდეს არა ნაკლებ 1000-ის კენჭისა (და არა ყველა კენჭების ნახევარზე მეტი ან დანარჩენებზე მეტი, როგორც ამას აბსოლიუტურის ან უბრალო უმეტესობის სისტემა მოითხოვს). შემდეგ ამ 1000-ზე უნდა გავყოთ ყოველი პარტიის ამომრჩეველთა რიცხვი და შევიტყობთ, თუ თვითეულმა პარტიამ რამდენი დელეგატი უნდა აირჩიოს. თუ ჩვენს მაგალითს ავიღებთ, აღმოჩდება რომ კონსერვატორებმა უნდა აირჩიონ —4 წარმომადგენელი, ლიბერალებმა—2, სოციალ-დემოკრატებმა—2 და რევოლიუციონერებმა—1. ამ რიგათ, მივიღებთ სულ 9 წარმომადგენელს; დაგვრჩება ასარჩევი კიდევ ერთიც.

ეს უკანასკნელი რომელმა ღა პარტიამ უნდა აირჩიოს?

ზოგიერთ ქვეყნებში ამბობენ: აურჩეველი კანდიდატი იმ პარტიამ უნდა აირჩიოს, რომელსაც ყველაზე მეტი წევრი ჰყავსო, (ე. ი ჩვენს მაგალითში კონსერვატორებმა) და ამ აზრს იმით ასაბუთებენ, რომ, უმეტესობის სისტემით რომ ყოფილიყო არჩევნები, მაშინ ხომ ყველა წარმომადგენლებს ეს პარტია აირჩევდა, და რა დიდი უსამართლობა იქ-

ნება. რომ რამდენიმე მეტი დეპუტატი ამასვე ვარგუნოთო. მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს „საბუთი“ სიმართლისა და თანასწორობის მოყვარულ კაცს ვერ დააკმაყოფილებს; ამიტომ უმჯობესად უნდა ჩაითვალოს ის წესი, როცა აურჩეველს კანდიდატს იმ პარტიას არგუნებენ ხოლმე, რომელსაც სხვებთან შედარებით სათითაოთ ყველაზე მეტი ხმა ეკარგება. ჩვენს მაგალითს თუ ავიღებთ, აღმოჩდება რომ ხმები მარტო ორ პარტიას ეკარგება: რევოლიუციონერებს—400 და ფედერალისტებს—600; მაშასადამე უკანასკნელი დეპუტატი ფედერალისტებმა უნდა აირჩიონ, ამ რიგათ, 10000 კაციდგან მხოლოდ 400 კაცს არ ეყოლება წარმომადგენელი დამფუძნებელ კრებაში, დანარჩენი 9600 კაცი კი დაკმაყოფილებული იქნება.

ასეთია **პროპორციონალური არჩევნები**. საჭიროა, სანამ არჩევნები დაიწყებოდეს, ჩვენმა ხალხმა ამ წესსაც მიაქციოს ჯეროვანი ყურადღება.

XII

დამფუძნებელ კრებაზე.

დასასრულ, აგერ, დელეგატებიც არჩეული არიან და კრებაზე მიდიან. აგერ კრების პირველი სხდომაც გაიხსნა. ორატორები სალაპარაკოდ მოემზადენ. საზოგადოება გულის ფანცქალით ელის, თუ რას იტყვიან ორატორები და როგორს მიმართულებას მიიღებს მათი სიტყვა და მოქმედება: ხალხის უმრავლესობის ინტენრესებს გამოესარჩლე-

ბა იგი, თუ მთავრობისა და ერთი მუჭა ბურჟუაზიისას.

ამ კითხვის გადაწყვეტა მთლათ იმაზეა დამოკიდებული თუ: ა) ვისგანაა არჩეული ამ დელეგატების უმრავლესობა, ბ) რა გარეგანს პირობებში მოუხდებათ მათ მოქმედება და გ) რამდენათ ძლიერი და ენერგიული იქნება თვით ხალხის ზნეობრივი გავლენა ამ კრების წევრთა სიტყვასა და მოქმედებაზე.

პირველი პირობის შესახებ ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი, როდესაც საარჩევნო უფლება განვიხილეთ. რაც შეეხება მეორე პირობას, აუცილებლათ საჭიროა კრების სხდომები და ორატორთა პიროვნება როგორც საკრებულო დარბაზში, ისე მის გარეშეც სრულიათ ხელშეუხებელი იქნეს პოლიციისა და, საზოგადოთ, მთავრობის მხრით; რა გინდ ფრიად ძლიერი სიტყვაც იხმაროს ორატორმა მთავრობის საზიზღარ საქციელის წინააღმდეგ, არავითარს პოლიციას, არავითარს მთავრობის აგენტს უფლება არ უნდა ექნეს დელეგატს ხელი შეახოს ან პასუხის გებაში მისცეს; ყოველი დელეგატის პიროვნება წმინდათა-წმინდად უნდა იქნეს მიჩნეული მთავრობისაგან და მხოლოთ ხალხს, მის ამრჩევ საზოგადოებას, აქვს უფლება თავის დელეგატის ქცევა მოიწონოს ან დაიწუნოს, მის მოქმედებას ზიზღი გამოუცხადოს ან ქება შეასხას და წააქეზოს.

მაგრამ, რომ ხალხს ნამდგილათ ექნეს შეძლება თავის დელეგატთა მოქმედებას ღირსეული მსჯავ-

რი დასდოს, აუცილებლათ საჭიროა, კრების სხდომები ახდილი ანუ საჯარო იქნეს; ამიტომ როგორც საკრებულო დარბაზი, ისე თვით ის ქალაქის უბანიც, სადაც კრება გაიმართება, ყველა ჯგუფისა და პარტიის წარმომადგენელთათვის დასამხრობი და ხელმისაწდომი უნდა იყოს; ამასთანავე ყოველი ორატორის სიტყვა, სხდომის ყოველი გარდაწყვეტილება, თუ ვრცლათ არა, შემოკლებით მაინც უსათუოთ გაზეთებში უნდა იბეჭდებოდეს და იმავე ან მეორე დღეს კრების თავმჯდომარისაგან დეპეშით რუსეთის ყველა ქალაქებში უნდა იგზავნებოდეს, რათა მთელი რუსეთის ხალხს საშვალება მიეცეს, თვის მიერ არჩეულ დელეგატების ყოველ სიტყვას თვალყური ადევნოს და მათს მოქმედებაზე დროიანათ საჭირო გავლენა იქონიოს.

ერთი სიტყვით, დამფუძნებელი კრება უნდა იქნეს მთავრობის გავლენისაგან **სრულიათ თავისუფალი** და თან საჯარო ანუ პირდაპირ ხალხის კონტროლის ქვეშ მყოფი.

ასეთი უნდა იყოს დამფუძნებელი კრების ფორმალური მხარე, მისი გარეგანი მდგომარეობა.

დაგვრჩა განსახილველი დამფუძნებელი კრების შინაგანი მხარე, მისი უმთავრესი მიზანი ანუ საგანი.

ამ წიგნაკის პირველ თავში ჩვენ შევნიშნეთ, რომ დამფუძნებელი კრების მიზანია შეიმუშაოს ის **ძირითადი კანონები**, რომელნიც სახელმწიფოს

მომავალს მართვა-გამგეობას საფუძვლად დაედება და მოქალაქეთა უფლებას განსაზღვრავსო.

მაშასადამე დამფუძნებელი კრების პირდაპირი საგანი ყოფილა—**ძირითადი კანონების შემუშავება.** რას უნდა შეეხებოდეს ეს კანონები? ან უკეთ რომ ვთქვათ, რა უნდა დააკანონოს დამფუძნებელმა კრებამ?

თავდაპირველათ დამფუძნებელმა კრებამ უნდა **დაამტკიცოს და ძირითად კანონად აქციოს:** სრული **თავისუფლება სიტყვისა** და **ბეჭდვისა, კრებისა და ყრილობისა, ხელუხლებობა პიროვნებისა და ბინისა.**

ამავე კრებამ უნდა დააკანონოს სრული **თავისუფლება სინდისისა და სწავლებისა, თანასწორობა სარწმუნოებათა და ეროვნებისა;** ამავე მუხლში შედის განშორება ეკლესიისა და სახელმწიფოსი.

დასასრულ, დამფუძნებელმა კრებამ უნდა მოახდინოს სრული რეორგანიზაცია რუსეთის იმპერიისა **ფედერატიულ პრინციპების თანახმად.** მთელი რუსეთი უნდა დაიყოს რამდენსამე ფედერატიულ მხარედ (პოლონეთი, უკრაინა, ამიერკავკასია, ფინლიანდია და სხვანი); და თვითეულ მხარეს უფლება უნდა მიეცეს, თავის მართვა-გამგეობის მოსაწყობად **საკუთარი დამფუძნებელი კრება** მოიწვიოს საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი, ფარული და **პროპორციონალური** კენჭის ყრით. შემდეგ ეს კრება თვითონვე გადასწყვეტს, მისცეს ადგილობრივს

ერებს ან ოლქებს ავტონომიური მართვა-გამგეობა, თუ არა.

ამ რიგათ, მთელი რუსეთი დანაწილებული იქნება რამდენსამე ფედერატიულ მხარედ და ავტონომიურ ოლქად. თვითეულს ოლქს ეყოლება საკუთარი წარმომადგენლობითი კრება ანუ პარლამენტი; აგრეთვე ყოველ ფედერატიულ მხარესაც და მთელს რუსეთსაც. სრულიად რუსეთის პარლამენტი ანუ „სათათბირო" განიხილავს და განაგებს მხოლოთ ისეთს საქმეებს, რომელნიც მთელს რუსეთს შეეხება: არმიას, ფლოტს, ბაჟებს, სახელმწიფოს ვალებს, საგარეო პოლიტიკას და ფულის—მოჭრას.

რაც შეეხება სახელმწიფო ბანკებსა და რკინის გზებს, ამათი მართვა—გამგეობაც ფედერატიულ საფუძველზე უნდა მოეწყოს; ფედერატიული მხრის-პარლამენტს უნდა გადაეცეს ისეთი საქმეები, რომელნიც მთელ მხარეს შეეხება, როგორიცაა მაგალითად: ფოსტა, ტელეგრაფი, უუმაღლესი განათლება, მთელს მხარეზე გადასახადების გაწერა, რკინის გზები და სხვანი. დანარჩენს ადგილობრივ საქმეებს კი (აგრარულს და სოციალურს კითხვებს, პირველდაწყებითსა და საშუალო განათლებას, სასამართლოს, პოლიციასა და სხვათ) ყოველი ავტონომიური ოლქი თვითონ უნდა განაგებდეს.

ასეთია უმთავრესი ძირითადი კითხვები, რომელნიც სრულიად რუსეთის დამფუძნებელმა კრებამ ზოგი თვითონ უნდა გადასწყვიტოს და თავის გა-

დაწყვეტილება **ძირითად კანონად** გამოაცხადოს, ზოგთა გადაწყვეტა ფედერატიულსა და ავტონომიურ დამფუძნებელ კრებებს უნდა გადასცეს; მაგრამ ამ თავითვე კი უნდა გადაჭრით გამოაცხადოს, თუ **რას** აძლევს იგი ამ ადგილობრივს კრებებს და **რისი გაკეთება** შეეძლებათ მათ; და ეს გადაწყვეტილებაც იგივე ძირითადი კანონი იქნება.

1905წ. ს. გორგასლიძე.



„სხივის“

ამხანაგობის გამოცემა

		ფასი
წიგნი 1	ჯუზეპე გარიბალდი	10 კაპ.
2	დამფუძნებელი კრება	10 კაპ.

მზადდება დასაბეჭდათ მესამე **წიგნი.**

წიგნების საწყობი **ჯეჯილის** რედაქციაშია. იქვე შეიძლება ხელთნაწერების მიტანა დასაბეჭდათ.

34
3 696

ფასი 10 კაპ.